ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №378-2013

ქ. თბილისი 23 ოქტომბერი, 2013 წელი

ერთი მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით („შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ – შპს „დეკორი" (იურიდ.მისამართი: ქ.თბილისი, აკაკი ბელიაშვილის №63) მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით („მიმწოდებელი"), კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000021) საფუძველზე, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს პირველი ხარისხის ქაღალდის შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა - 452 ცალი, ერთეულის ფასი 5,13 ლარი, საერთო ღირებულებით 2318.76 ლარი. „საბეჭდი ქაღალდი" (CPV30197630).

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – კონსოლიდირებული ტენდერი.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 2318.76 (ორი ათას სამას თვრამეტი ლარი 76 თეთრი) ლარი

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან თ. მდინარაძეს (სტუ-ს საწყობის გამგე) შორის.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

3.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 30 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღეში, მისამართზე ქ. თბილისი, კოსტავას 77.

4.2. მოსაწოდებელი საქონლის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით, 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77

„თი ბი სი ბანკი" ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი: 220101830
ს.კ. 211349192
ა/ა GE86TB7338636020100017
GE26TB7338636020100030
GE22TB7338634080100005
GE75TB7338636020100021
GE48TB7338636020100022
GE59TB7338636020100018
GE80TB7338636020100028
GE53TB7338636020100029
GE91TB7338636020100024
GE76TB7338636020100003
GE65TB7338636020100007
GE06TB7338636020100002
GE22TB7338636020100005
GE49TB7338636020100004
GE33TB7338636020100001
GE49TB7338634080100004
GE38TB7338636020100008

სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222
ა/ა 200122900

„მიმწოდებელი"
შპს „დეკორი"
მის: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის №63, ტ: 2240505, 599100474
საქართველოს ბანკის ც/ფ

ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE84BG0000000211219902
ს.კ. 203868635

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქეთევან ქოქრაშვილი

დირექტორი
დიმიტრი კვეკვესკირი